პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 3 აპრილი, 1943 წ. № 77 (6702). ფასი 20 კაპ.

მეორე კვარტალის პირველი თვე

წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრების ნიშნით განვლო პირველი კვარტალის უკანასკნელმა თვემ—მარტმა. პირველი კვარტალი დამთავრდა და დაიწყო მეორე კვარტალის პირველი თვე—აპრილი. მარტში სერიოზული წარმატებები მოიპოვეს ჩვენი მრეწველობის საწარმოებმა, მიუხედავად იმისა, რომ იყო სიძნელეები, ომთან დაკავშირებული დაბრკოლებები. მაგრამ მუშათა კოლექტივების შეჯიბრებაში გამარჯვების მძლავრმა სურვილმა და ნებისყოფამ, ფრონტისადმი დახმარების გაძლიერების მხურვალე გრძნობამ, საწარმოთა დირექტორების, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელების მოქნილმა, უნარიანმა მუშაობამ, დაგეგმვრივი რეზერვების მობილიზაციამ, რესურსების მაქსიმალურად გამოყენებამ უზრუნველჰყვეს სიძნელეთა გადალახვა და სერიოზული წარმატებების მოპოვება.

ამხანაგ **სტალინის** 23 თებერვლის ისტორიული ბრძანების პასუხად გაშლილმა წინასამაისო სოციალისტურმა შეჯიბრებამ საწარმოო წარმატებათა მიღწევაში უდიდესი როლი შეასრულა. შეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულებები პირნათლად გაანაღდეს და საწარმოო გამარჯვებით დაამთავრეს პირველი კვარტალი საბჭოთა საქართველოს მთელმა რიგმა საწარმოებმა. ასეთი საწარმოებია ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის თბილისის საელექტროვაგონო დეპო, ბერიას სახელობის თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა, ქარხნები, რომელთა დირექტორები არიან ამხ. სარიშვილი და მელაძე, თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ტყიბულის ლენინის სახელობის მაღაროო, ასეთი მოწინავე საწარმოების, მაღაროების, საამქროების ჩამოთვლა ბლომად შეიძლება. მათ გეგმის გადამეტებით დიდძალი პროდუქცია დაამზადეს გმირი წითელი არმიისათვის, ჩვენი ქვეყნისათვის. მრავლად არიან ომიანობის დროის სტახანოველები, რომლებმაც სახელოვნად შეასრულეს შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, შემდგომ გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, მიაღწიეს ახალ წარმატებებს.

მაგრამ არიან ისეთი საწარმოები, რომლებმაც ვერ უზრუნველჰყვეს გეგმების შესრულება, ვერ გაანაღდეს ის, რაც შეჯიბრებაში იკისრეს.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მთელი რიგი მოწინავე საამქროების, პირველ რიგში სავაგონო-სამგზავრო, სატენდერო, საელმავლო და სპეციალური დანიშნულების საამქროების წარმატებითი მუშაობა თუ უზრუნველყოფილ იქნა, რატომ ჩამორჩნენ საქმაბე და ამწყობი საამქროები? მათი ხელმძღვანელები ვერ აღმოჩნდნენ მოწოდების სიმაღლეზე, ვერ განამტკიცეს შრომის დისციპლინა. ქარხნის ხელმძღვანელობამაც სათანადო დახმარება ვერ გაუწია ამ საამქროებს, მიუხედავად იმისა, რომ იქ შექმნილი მდგომარეობა მათთვის ადრევე იყო ცნობილი, საწარმოო-ტექნიკურ კონფერენციაზეც დაისახა ღონისძიებანი, პრაქტიკულად კი ამ მხრივ ცოტა გაკეთდა.

რა შეიძლება ითქვას ისეთ საწარმოზე, როგორიც არის თბილისის ტყავშემცველების ქარხანა — ესოდენ საჭირო და მნიშვნელოვანი პროდუქციის დამამზადებელი? რა გააკეთეს ამ საწარმოს ხელმძღვანელმა მუშაკებმა?

ქარხანას კვარტალის გეგმა არ შეუსრულებია, მარტში რამდენიმე ათეული ტონა პროდუქცია დააკლო ქვეყანას, გამოშვებული პროდუქცია კი დაბალი ხარისხისა. ქარხანაში ვერ უზრუნველჰყვეს ტექნოლოგიური პროცესის ათვისება, ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს, რომელთა აღმოფხვრისათვის ადგილობრივი პარტორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად იბრძვის.

აპრილის გეგმების შესრულებისათვის ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებმა მესამე დღეა დაიწყეს ბრძოლა. აქედანვე უნდა მივაღწიოთ გეგმის შესრულებას, იმ საწარმოებმა კი, რომლებიც დავალიანებული არიან, იბრძოლონ ქვეყნის წინაშე ვალის გადახდისათვის. **„გამოასწორე მდგომარეობა ერთბაშად, მეორე კვარტალში, აპრილში!“**, — სწერს „პრავდა“. ამას შეიძლება მივაღწიოთ საწარმოო **რეზერვების ენერგიული მობილიზაციით.** მკვეთრად უნდა გავადიდოთ **პროდუქციის გამოშვება უმცირესი ხარჯით.** ვასწავლოთ და ვასწავლოთ **ახალმოსულ მუშებს,** ავამაღლოთ მათი **კვალიფიკაცია.** უფრო ეფექტიურად გამოვიყენოთ **ქალთა შრომა.**

გეგმების **რაოდენობრივ** შესრულებასთან ერთად წარმატებით უნდა უზრუნველვყოთ პროდუქციის **ხარისხის** გაუმჯობესება. გეგმების გადამეტებით შესრულება—ეს წითელი არმიისადმი მზარდი დახმარებაა და სასიკვდილო ლახვრის ჩაცემაა გერმანელი ფაშისტი ავაზაკებისათვის.

ეს დამატებითი პროდუქცია მუშათა კოლექტივებს შეაქვთ **წითელი არმიის მთავარი სარდლობის მძლავრ განსაკუთრებულ ფონდში.** სახელი და პატივია აძლიერებდე ჩვენი გამარჯვების ამ ფონდს!

მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკებო! აპრილში მივაღწიოთ მრეწველობაში და ტრანსპორტზე **ახალ საწარმოო გამარჯვებებს!** მეტი **პროდუქცია,** მეტი **ლითონი,** მეტი **ელექტროენერგია!** განუხრელად დავიცვათ ნედლეულის, მასალების **უსასტიკესი მომჭირნეობა!** გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება, შემდგომ გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი. ეს იქნება წითელი არმიისადმი მზარდი დახმარება ჰიტლერელ ავაზაკთა სრული განადგურებისათვის.

სტალინური პრემიების ლაურეატთა შენაგანი

მაღალი წოდების — სტალინური პრემიის ლაურეატის—მინიჭებამ პატრიოტებმის მძლავრი ტალღა გამოიწვია იმათ შორის, ვინც ღირსი გახდა ხალხის მიერ აღიარებისა. თავიანთ მიმართვებში ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკთა საუკეთესო მეგობრისადმი—ამხანაგ სტალინისადმი — ლაურეატები პირობას იძლევიან მომავალშიც კიდევ უფრო ნაყოფიერად იმუშაონ თავიანთი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სურთ რა მატერიალურად დაეხმარონ წითელ არმიას მტრების განადგურებაში, სტალინური პრემიების ლაურეატებს მათთვის მინიჭებული ფულადი პრემიები შეაქვთ წითელი არმიის შესაიარაღებლად.

ამხანაგ სტალინის სახელზე მიღებულია წერილები:

ცენტრალური საარტილერიო საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაკთა ჯგუფისაგან—სოციალისტური შრომის გმირების ვ. გ. გრაბინის და ი. ი. ივანოვისაგან, ამხ. გ. დ. დოროხინის, დ. ი. შეფერის, პ. მ. ნაზაროვის, მ. მ. როზენბერგის, კ. კ. რენეს, პ. ფ. მურავიოვის, ე. ვ. სინილშჩკოვის, ვ. დ. მეშჩანინოვისა და ს. გ. პერერუშევისაგან;

მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის აკადემიკოს ე. ფ. ლისკუნისაგან;

აზერბაიჯანის სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფ. მუსტაფა ოღლბეგ ოღლი თოფჩიბაშევისაგან;

ექსპერიმენტული მედიცინის სრულიად-საკავშირო ინსტიტუტის მუშაკების პროფ. ზ. ვ. ერმოლიევასა და ლაბორატორიის გამგის ლ. მ. იაკობსონისაგან;

აზერბაიჯანის გეოლოგებისაგან—ა. ა. ალიზადეს, ვ. ს. მელიქ-ფაშაევის, ე. ა. დმიტრიევის, გ. პ. ოვანესოვისა და ა. ნ. კორნეევისაგან;

უზბეკეთის გეოლოგებისაგან — დ. მ. ბოგდანოვიჩისა და გ. ს. ჩიკრიზოვისაგან;

შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის „ელავოგნეუპორის“ მუშაკებისაგან — ი. ა. გოლდინისა და მ. ა. ურალოვისაგან; ცეცხლგამძლეების საკვლევო ინსტიტუტის ტექნიკური განყოფილების უფროს პ. გ. რავდელისაგან; ცეცხლგამძლეების სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მუშაკებისაგან — ა. დ. ფედოსეევისა და ა. ა. პიროგოვისაგან; პეროვოურალსკის ცეცხლგამძლე აგურის ქარხნის მუშაკის ამხ. ი. ს. კაინარსკისაგან; ქარხანა „მაგნეზიტის“ მუშაკის ამხ. ა. პ. პანარინისაგან;

კარაჩაროის ქარხანა „პლასტმასის“ უფროსის ამხ. ა. ი. გლადიშევისაგან.

სახალხო არტისტებისაგან — ა. ა. იაბლოჩკინასა და ა. ა. ოსტუჟევისაგან; ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის პროფ. დ. ფ. ოისტრახისაგან.

საპასუხო წერილებში ამხანაგი სტალინი მადლობას უცხადებს ლაურეატებს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებზე მათი ზრუნვისათვის. (**საკვლისი**).

დედის შურისგება

მოქმედი არმია, 30 მარტი (საკვლისის სპეც. კორესპონდენტისაგან). წითელი არმიის ნაწილების მიერ ვიაზმის დაკავების რამდენიმე დღის შემდეგ ტყიდან ქალაქში მოვიდა ალექსანდრა სერგის-ასული მოჩიკინა.

ალექსანდრა სერგის-ასული დიდხანს იმალებოდა ტყეში და იქიდან მხოლოდ მაშინ გამოვიდა, როცა გაიგო, გერმანელებმა ვიაზმა დასტოვესო. აი, რა გვიამბო ალექსანდრა სერგის-ასულმა:

— ჩემს ოჯახს შევადგენდით მე და ჩემი ქალიშვილი ლიდა. ლიდა 17 წლისა იყო.

როდესაც ვიაზმა გერმანელებმა დაიკავეს, ცხოვრება ძალიან ძნელი გახდა. სამუშაო არ იყო და საჭმელიც არაფერი გვქონდა. ჩვენ ვცდილობდით სახლიდან არ გავსულიყავით, რადგან ვიცოდით, რომ გერმანელები ხშირად ძალას ხმარობენ გამვლელებზე. მაგრამ როცა მთელი მარაგი გამოგველია, იძულებული გავხდით გამოვსულიყავით.

დილაადრიან ლიდა მეგობარ ქალთან ერთად მახლობელ სოფელში წავიდა, რათა ცოტოდენი კარტოფილი ეშოვნა. გვიან საღამოს მისი მეგობარი მარტო დაბრუნდა და ტირილით მიამბო. ლიდა მოჰკლესო. გზაში მოტოციკლისტი წამოგვეწია, შესდგა, საფეთქელში დაარტყა ლიდას, ხელი სტაცა და ტყისკენ გიიტაცა. ვიდან თავპირში დაუწყო ცემა და კაცრავ. მაშინ გერმანელმა ძირს დასცა ლიდა, შეიგინა, იძრო რევოლვერი და ორჯერ ესროლა სახეშიო.

მეორე დღეს ჩემი ქალიშვილის გვამი გზაზე ვიპოვნე. შინ ციგით მოვიტანე, თვითონ გავთხარე სამარე და დავასაფლავე.

ამის შესახებ არავისთვის მიამბნია და არც არავისთვის შემიჩივლია. მეორე დღეს სამუშაოზე მოვეწყე გერმანელთა კომენდატურაში. სამზარეულოში გამგზავნეს ქვაბების სარეცხად და კარტოფილის საწმენდად. ჩემ უფროსი გერმანელი კურტი იყო. ძალიან მაცარი და ტლანქი კაცი იყო. ერთხელ სარდაფში ჩამოვიდა, წამოიჩოქა და კარტოფილს აწყობდა ყუთში. მიეხედი, რომ დადგა მომეტები შურისგებისა ლიდასთვის. რკინის ბარი დიდი ხნიდან მქონდა მომზადებული. ავიღე და, რაც ძალა მქონდა, თავში დავარტყი გერმანელს. იგი უხმოდ დაეცა, გვამი კუთხეში მივათრიე, ზედ ტომრები და ცარიელი ყუთები მივაყარე. სოფლიდან გავედი და ტყეს მივაშურე.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

2 აპრილის დილის ცნობა

1 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები თავიანთ პოზიციებს ამაგრებდნენ და დაზვერვას ეწეოდნენ. 6 ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის კონტრიერიში და გაეკლიტეს გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. სხვა უბანზე ჰიტლერელები ღამით ცდილობდნენ დაებრუნებინათ მათ მიერ დაკარგული პოზიციები. ჩვენი მებრძოლების ჯგუფში უფროს ლეიტენანტ დრუჟინინის მეთაურობით თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით შეხვდა გერმანელებს. მოწინააღმდეგემ უკან დაიხია, ამასთან მავთულის ღობურებს მახლობლად 60 თავისი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი დასტოვა.

* * *

ქალ. ბელიჩ სამხრეთით 6 ნაწილმა მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში მოსპო 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდო 2 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 7 ტყვიამფრქვევი, 2 ნაღმსატყორცნი და 6 ავტომანქანა ყუმბარებიანად და ნაღმებიანად.

* * *

სევერნი დონეცის შუაწელის რაიონში ჩვენი ჯარები საარტილერიო და თოფ-ტყვიამფრქვევის სროლას ეწეოდნენ მოწინააღმდეგესთან. 6 შენაერთის ნაწილებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის იერიში და დიდი ზარალი მიაყენეს გერმანელებს. სხვა უბანზე ჩვენი არტილერიის ცეცხლით დაზიანებულია მოწინააღმდეგის 7 ძელმიწური საცეცხლე წერტილი, აფეთქებულია საომარ მასალათა საწყობი და ჩახშობილია 6 სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი.

* * *

ყუბანში ჩვენი ჯარები შეტევით, ბრძოლებს ეწეოდნენ. 6 ნაწილის ქვეგანყოფილებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს სამი დასახლებული პუნქტი.

გუშინ დღისით ჩვენმა მფრინავებმა ჩაატარეს საჰაერო ბრძოლა მოწინააღმდეგის ავიაციასთან, რომელიც ცდილობდა დაებომბა ერთი ჩვენი ობიექტი. საჰაერო ბრძოლის შედეგად ჩამოგდებულია გერმანელთა 6 თვითმფრინავი. გარდა ამისა, საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 3 ბომბდამშენი და დაზიანებულია 3 ბომბდამშენი. ამრიგად, სულ მოსპობილია მოწინააღმდეგის 9 თვითმფრინავი და დაზიანებულია 3 თვითმფრინავი.

* * *

ლენინგრადის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა გერმანელთა სადამსჯელო ექსპედიციასთან ბრძოლაში მოსპო რამდენიმე ათეული ჰიტლერელი. წამოღებულია დავლა. ლენინგრადელი პარტიზანების სხვა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო მოწინააღმდეგის სარკინიგზო ეშელონი. დამტვრეულია 1 ორთქლმავალი და 16 ვაგონი სხვადასხვა სამხედრო ტვირთიანად.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ტყვედ ჩავიგდეთ გერმანელთა 267-ე ქვეითი დივიზიის 487-ე პოლკის ჯარისკაცთა ჯგუფი. ტყვეებმა—ჯარისკაცმა ჰენრიხ ფინემ, ობერ-ეფრეიტორმა ვერნერ დუნკლერმა, ფელდფებელმა ალბერტ პეპლაუმ განაცხადეს: „ჩვენ თავდაცვითი ხაზი გვეკავა სოფელ ბოლშაია კამენკაში, მე-6 ასეულ, ებრძანა რადაც უნდა დაჯდომოდა შეენარჩუნებინა პოზიციები. მაგრამ ჩვენ გამკლავება ვერ შეეძელით, რუსები შემოიკრნენ სოფელში და დაიკავეს იგი. მარტო ერთი დღის განმავლობაში ასეულმა 75 კაცი დაკარგა მოკლულთა სახით, 1-ლ, მე-2, მე-5 და მე-7 ასეულებს კიდევ უფრო მძიმე ზარალი მოუვიდათ. მოკლული ორიან ასეულების მეთაურები—ლეიტენანტები შტემენგი და პოფმანი, ობერ-ლეიტენანტი პაუპტერი და ცხვები. მე-6 ასეულში ყველა ოფიცერი გამოვიდა მწყობრიდან. 487-ე პოლკის ბევრმა ქვეგანყოფილებამ არსებობა შეწყვიტა“. ტყვედ წამოყვანილმა იმავე პოლკის მე-7 ასეულის ჯარისკაცმა კურტ ჰაინრტმა განაცხადა: „სტალინგრადთან პაულიუსის არმიის განადგურება ჯარისკაცთა სულგანაწყობას მუდმივს თემად წარმოადგენს. ახლა ჯარისკაცებს ეშინიანთ, ვაი თუ ისეთსავე მდგომარეობაში აღმოეჩნდეთ, როგორშიც გერმანელთა მე-6 არმია სტალინგრადთან ჩავარდაო“.

* * *

მაგდებურგის (გერმანია) მახლობლად არსებულ ორ ქარხანაში სამხედრო-მიზღებმა კომისიამ დაიწუნა 45 საშუალო ტანკი და 68 საზენიტო ქვემეხი. კომისიამ წინადადება წამოიყარა მთელი ეს უფარგისი ტექნიკა ჯარისთან გამოეყენებინათ. გესტაპოელებმა დააპატიმრეს ამ საწარმოების მომუშავე ბელგიელები, ფრანგები და იტალიელები. რამდენიმე დღის შემდეგ ქარხნებიდან გაიქცა 86 ეტხოელი მუშა. გაქცევის წინ მათ თავიანთი ჩარხები გააფუჭეს.

2 აპრილის საღამოს ცნობა

2 აპრილის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილებანი არ მომხდარა.

ჩვენმა ხომალდებმა ბარენცის ზღვაში ჩაძირეს მოწინააღმდეგის 2 ტრანსპორტი 15.000 ტონა საერთო წყალწყვისა.

* * *

1 აპრილს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა სულ ცოტა 40 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ააფეთქეს საომარი მასალის საწყობი და ჩასძირეს მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 10.000 ტონა წყალწყვისა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები დაკავებულ პოზიციებს ამაგრებდნენ და ცალკეულ უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლას ეწეოდნენ. 6 ნაწილის მებრძოლებმა მტრის ძლიერი ცეცხლით წინააღმდეგობა გადალახეს და გერმანელები განდევნეს დიდი მნიშვნელობის მქონე ერთი დასაყრდენი პუნქტიდან. მოსპობილია 2 საარტილერიო და 3 სანაღმტყორცნო ბატარეა და მტრის ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ქალ. ბელის სამხრეთით სროლა გეგმონდა მოწინააღმდეგესთან. 6 ნაწილის არტილერისტებმა მარჯვე ცეცხლითა თავდასხმით გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის კოლონა, რომელიც 300-მდე კაცისაგან შესდგებოდა. სხვა უბანზე საბჭოთა არტილერისტებმა მოწინააღმდეგის 2 საარტილერიო და ერთი ექვსლულიანი ნაღმსატყორცნთა ბატარეა ჩაიჩუმეს და მტრის 8 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და ბლინდაჟი დაანგრიეს. 6 ნაწილის ინიციატივებმა დღის განმავლობაში 74 ჰიტლერელი გაჟლიტეს.

* * *

სევერნი დონეცის შუაწელის რაიონში ჩვენი ჯარები თავიანთ პოზიციებს აუმჯობესებდნენ, ხოლო ძალთა ნაწილით მოწინააღმდეგის იერიშებს იგერიებდნენ. ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითი ჯარი შეტევაზე გადმოვიდა ტანკების დახმარებით. 6 ნაწილის მებრძოლებმა ჰიტლერელთა იერიშები მოიგერიეს და ძლიერ ზარალი მიაყენეს მათ. ბრძოლები ტრაქტორებზე წინანდელ ზღუდეებზე.

* * *

ფრონტის ერთ-ერთ უბანზე წარმატებით მოქმედებს სსრ კავშირში შედგენილი ჩეხოსლოვაკთა ჯარის ნაწილი პოლკოვნიკ სვობოდას მეთაურობით. ქალაქ ნ-ის სამხრეთით ამ ნაწილის მებრძოლებზე იერიშს მოიტანა მოწინააღმდეგის 60-მა ტანკმა და მეავტომატეებმა. ჩეხოსლოვაკთა ნაწილის მებრძოლნი ოფიცერ-ლამის განმავლობაში თავდადებით იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ და ჰიტლერელთა ყველა იერიშს მოიგერიეს. ბრძოლის შედეგად დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 19 ტანკი და მოსპობილია 400-მდე გერმანელი მეავტომატე. ჩეხოსლოვაკთა ჯარის ნაწილის სხვა ქვეგანყოფილ დავალება მიეცა შეეკავებინა გერმანელთა შეტევა, ჩეხოსლოვაკთა ნაწილის მებრძოლებმა და მეთაურებმა, რომლებიც საბჭოთა გვარდიელებთან ერთად ერთგულად მოქმედებდნენ, გერმანელთა 3 ტანკი მოსპეს, ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალის მხრივ და სარდლობის მიერ მათ წინაშე დასახული საბრძოლო „მოცანა შეასრულეს.

* * *

მოწინააღმდეგის ავიაციამ სცადა თავს დასხმოდა ქალაქ ბატაისკს. საბჭოთა ავიაგამანადგურებლებმა მტერს გზა გადაუღობეს და გერმანელთა 4 ბომბდამშენი ჩამოაგდეს საჰაერო ბრძოლაში.

* * *

მინსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა გერმანელთა დამსჯელი ექსპედიციის წინააღმდეგ ბრძოლებში 200-მდე ჰიტლერელი გაჟლიტა. 14 მარტს მინსკელმა პარტიზანებმა გაბედული თავდასხმა მოახდინეს მოწინააღმდეგის ჯარის ეშელონზე. საბჭოთა პატრიოტებმა 1 ორთქლმავალი და 10 საკლასო ვაგონი მოსპეს. თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოკლული და დაჭრილია მტრის 130 ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

პარტიზანთა მხარეზე გადავიდა სლოვაკ ჯარისკაცთა ჯგუფი, რომელნიც მოწინააღმდეგის მცველ ნაწილებში ირიცხებოდნენ. სლოვაკებმა განაცხადეს: „ჩვენ, სლოვაკიის სარეზერვო დივიზიის ჯარისკაცები, ბელორუსიაში ვიმყოფებოდით, სადაც რკინიგზის ხაზებს, ხიდებსა და სხვა ობიექტებს ვიცავდით. გერმანელები საშინელ მხეცობას და საზიზღარ ბოროტმოქმედებას სჩადიოდნენ ადგილობრივი საბჭოთა მოქალაქეების მიმართ. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჩეხებსა და სლოვაკებს საერთო გზა არა აქვთ გერმანელთან. ჩვენ არა გვსურს დავეხმაროთ მათ იმაში, რომ სოფლები სწვან და უდანაშაულო ბავშვები, ქალები და მოხუცები ხერატონ. როგორც სლავ ხალხთა დიადი ოჯახის შვილები, ჩვენ პარტიზანთა მხარეზე გადმოვდგით და მათთან ერთად ვცოცავთ გერმანელებს ღრმა ზურგში, ვეხმარებით წითელ არმიას ფაშისტ დამპყრობთა მოსპობაში. აქ, ბელორუსიაში, ჩვენ ვიბრძვით ფაშისტთა მონობისაგან სლავთა განთავისუფლებისათვის, თავისუფალი და დამოუკიდებელი ჩეხოსლოვაკიისათვის“.

* * *

იუგოსლავიელმა პარტიზანებმა დაიკავეს ქალაქები—ბლამჩი, ნევესინე და კალინოვიკი. იტალიელთა გარნიზონი, რომელიც ნევესინეს იცავდა, განადგურებულია და მისმა ნაშთებმა უწესრიგოდ დაიხიეს. პატრიოტებმა ხელთ იგდეს დიდი დავლა. დაბა ლოვინაცთან მომხდარ გააფთრებულ ბრძოლებში ჰიტლერელებმა 300-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით. პარტიზანებმა მოსპეს გერმანელთა 3 ტანკი და ხელთ იგდეს 2 ქვემეხი და სხვა საჭიროველი. მარტოოდ დამთავრდა მოწინააღმდეგის ყოველი ცდა—გაერღვია პარტიზანთა სიმაგრეები ქალ. კონიცთან. პარტიზანები 35 დღის განმავლობაში წარმატებით იგერიებდნენ მტრის მრავალ იერიშს და მძიმე ზარალს აყენებდნენ მას. ოკუპანტებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს იუგოსლავიელ პატრიოტებთან ბრძოლაში და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

წითელი არმიის ზამთრის კამპანიის შედეგები

(1942 წლის 10 ნოემბრიდან 1943 წლის 31 მარტამდე).

ამა წლის 31 მარტს წითელმა არმიამ დაამთავრა ზამთრის კამპანია გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ.

ზამთრის კამპანიის განმავლობაში საბჭოთა ჯარებმა მძიმე სამხედრო დამარცხებანი აგებმეს მტრის არმიებს. წითელმა არმიამ ომების ისტორიაში უდიდესი დამარცხებანი აგება გერმანელ ფაშისტთა ჯარებს სტალინგრადთან, გაანადგურა გერმანელთა ჯარები ჩრდილოეთ კავკასიისა და ყუბანში, მთელი რიგი მძიმე დამარცხებანი აგება მტერს დონის შუაწელისა და ვორონეჟის რაიონში, მოახდინა მტრის პლაცდარმების ლიკვიდაცია ცენტრალურ ფრონტზე (რეჟევი-გუტასკი-ვიაზმა) და დონბასის რაიონში, გაარღვია ლენინგრადის ბლოკადა.

ოთხი თვისა და ოცი დღის შეტევის განმავლობაში წითელმა არმიამ ზამთრის უძნელეს პირობებში ზოგიერთ უბანზე 600—700-მდე კილომეტრით წაიწია დასავლეთისაკენ. საბჭოთა ჯარებმა გერმანელ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს უდიდესი ტერიტორია—480.000 კვადრატული კილომეტრი. წითელი არმიის შეტევის შედეგად მტრისაგან გაწმენდილ იქნა ჩვენი ქვეყნის რაიონები, რომელთაც უდიდესი ეკონომიური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ. სავსებით განთავისუფლებულია ვორონეჟისა და სტალინგრადის ოლქები, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთისა და ყალმუხეთის ავტონომიური რესპუბლიკები, სტავროპოლის მხარე, ჩერქეზეთის, ყარაჩაისა და ადიღეს ავტონომიური ოლქები, თითქმის მთლიანად კრასნოდარის მხარე, როსტოვისა და კურსკის ოლქები, ვოროშილოვგრადის, სმოლენსკისა და ორიოლის ოლქების მნიშვნელოვანი ნაწილი ათობით დიდ ქალაქებთან და მრავალ ათას სოფლებთან.

წითელმა არმიამ დასავლეთისაკენ უკუაგდო მტერი, გაათავისუფლა ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი წყლისა და რკინიგზის კომუნიკაციები, მათ შორის ალდგინა მტრის მიერ 1942 წლის შემოდგომაზე გადაჭრილი ვოლგის გზა, მტრის ჯარებისაგან გაწმენდა დონის მთელი დინება. მტრისაგან განთავისუფლებული და ამუშავებულია რკინიგზის მაგისტრალები: სტალინგრადი — პოგორნო, სტალინგრადი—ლიხაია—ვოროშილოვგრადი, სტალინგრადი—კრასნოდარი, ელადიკავკაზი—დონის როსტოვი, ლისკი—მილეროვო—შახტი—დონის როსტოვი, ელეცი—კასტორნაია—ვალუიკი—ვოროშილოვგრადი, მოსკოვი—ვიაზმა, მოსკოვი—რეჟევი—ველიკიე ლუკი და ბევრი სხვა.

ჩვენმა ჯარებმა წითელი არმიის შეტევის განმავლობაში, 1942 წლის 10 ნოემბრიდან 1943 წლის 31 მარტამდე, **ხელთ იგდეს** შემდეგი დავლა: 1.490 თვითმფრინავი, 4.670 ტანკი, 15.860 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 9.835 ნაღმსატყორცნი, 30.705 ტყვიამფრქვევი, 500.000-ზე მეტი შაშხანა, 17.000.000 ყუმბარა, 128.000.000 ვაზნა, 123.000 ავტომანქანა, 890 ორთქლმავალი, 22.000 ვაგონი, 1.825 საწყობი სხვადასხვა სამხედრო ქონებიანად, აგრეთვე მრავალი რადიოსადგური, მოტოციკლები და ბევრი სხვა სამხედრო ქონება.

ამავე ხნის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 3.600 თვითმფრინავი, 4.520 ტანკი, 4.500 ქვემეხი.

სულ ჩვენი ზამთრის შეტევის განმავლობაში მოწინააღმდეგემ დაჰკარგა: 5.090 თვითმფრინავი. 9.190 ტანკი, 20.360 ქვემეხი.

1942 წლის 10 ნოემბრიდან 1943 წლის 31 მარტამდე ტყვედ წამოყვანილია მტრის 343.525 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამავე ხნის განმავლობაში მოწინააღმდეგემ მარტო მოკლულთა სახით დაჰკარგა 850.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

სერჟანტ ბეგინაშვილის გმირობა

მოწინააღმდეგის ასეული კონტრიერიშზე გადმოვიდა. სანგარში მარჯვენა ფრთაზე ამ დროს იმყოფებოდა სერჟანტი ბეგინაშვილი. მის წინააღმდეგ წამოვიდა 10 ჰიტლერელი. გამბედავი მებრძოლი არ დაიბნა, შაშხანის ცეცხლით მან მოსპო ხუთი ფაშისტი ჯარისკაცი. დანარჩენები გაიქცნენ.

მაშინ გერმანელებმა გადასწყვიტეს ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოესპოთ მარჯვე მებრძოლელი. მაგრამ ბეგინაშვილი თავის დროზე ჩასანგრდა და მტრის ტყვიისათვის მიუდგომელი აღმოჩნდა.

მეორე იერიშის დროს მარჯვენა ფლანგზე, სადაც იმყოფებოდა მებრძოლი, გამოვიდა უკვე 20 ჰიტლერელი. ბეგინაშვილმა ზუსტი სროლით კვლავ მოსპო 10 ფაშისტი.

ფაშისტთა კონტრიერიშში ჩაიფუშა

(6 წითელარმიელი გაზეთი).

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატთა საყურადღებოდ

1943 წ. 5 აპრილს, საღამოს 7 საათზე, შინსახკომის ძერჟინსკის სახელობის კლუბში (ბესიკის ქ. № 4) შესდგება

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს VII სესია

დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს ძერჟინსკის სახ. კლუბში საღამოს 6 საათიდან.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

თქვენი მისალმების სიტყვებით და სამამულო ომის ფრონტებზე წითელი არმიის გმირული შეტევით აღფრთოვანებულებმა, ადგილებულებმა სურვილით — კიდევ უფრო მეტად დაეხმარონ ჩვენს სამშობლოს გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების უსწრაფეს განადგურებაში, — მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა თავიანთი პირველი დანაყოფიდან, გარდა წინათ შეგროვებული 24.424.096 მანეთისა, ტანკების, თვითმფრინავებისა და საარტილერიო ბატარეების მშენებლობისათვის ფულად და ობლიგაციებად დამატებით შეიტანეს 16.024.365 მანეთი. სახსრების შეგროვება გრძელდება.

ვასრულებთ რა № 95 ბრძანებაში მოცემულ თქვენს მითითებებს, ამხანაგო სტალინ, ჩვენ სიტყვას გაძლევთ თქვენ, რომ ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარების პირადი შემადგენლობა, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული, მთელ ძალ-ღონეს მოახმარს იმას, რომ შეასრულოს თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

მიიღეთ

წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრება

გეგმას ყველა საამქრო უნდა ასრულებდეს

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივი საქართველოს საწარმოთა შორის წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორია. ქარხნის მთელმა რიგმა საამქროებმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში და განსაკუთრებით კვარტალის ბოლო თვეში—მარტში მართლაც სანიმუშოდ იმუშავეს და დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს. სავაგონო-სამგზავრო, სატენდერო, საელმავლო საამქროებმა და ქარხნის ყველა სპეციალური დანიშნულების საამქროებმა გადაჭარბებით შეასრულეს როგორც მთლიანად კვარტალური, ისე მარტის საწარმოო დავალებები.

მაგრამ დაწინაურებული საამქროების გვერდით საქვაბე და ამწყობმა საამქროებმა ვერც კვარტალური და ვერც მარტის თვიური საწარმოო გეგმები ვერ შეასრულეს. განსაკუთრებით ჩამორჩენილია ამწყობი საამქრო, რომელმაც მარტში რამდენიმე ორთქლმავალი დაიკლო ქვეყანას.

ამწყობი საამქროს (უფროსი ამხ. მკერვალიშვილი) ჩამორჩენის მიზეზები ქარხნის ხელმძღვანელობისათვის ცნობილი იყო - თავიდანვე. მარტის მეორე დეკადის ბოლოს გამართულ საქარხნო საწარმოო-ტექნიკურ კონფერენციაზე დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი წარმოების ხელშემშლელი მიზეზების საილაკვიდაციოდ, მაგრამ რეალურად კი ცოტა გააკეთეს. საამქროს ხელმძღვანელობა ვერ სდგამს მოწოდების სიმაღლეზე. სუსტია შრომის დისციპლინა, საამქროში სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული სამუშაო დრო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეზობელი საამქროები ამწყობ საამქროს თავის დროზე ვერ აწვდიან დეტალებს და ამ დეტალების ხარისხი, ხშირ შემთხვევაში, დაბალია, რაც თავს იჩენს შეკეთებული ორთქლმავლების საცდელი გადარბენის დროს. ამის შედეგად ორთქლმავლების გამოშვება ბრკოლდება.

ჩამორჩენილ საამქროებს დახმარება უნდა გაეწიოს თვის დასაწყისიდანვე, რათა აპრილში საამქრომ შესძლოს განვლილი თვეების დაგალიანების დაფარვა, საჭიროა ქარხნის ხელმძღვანელობამ, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა, მთელმა კოლექტივმა ისე მოაწყონ საქმე, რომ გეგმას ქარხნის ყველა საამქრო ასრულებდეს.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივმა არ უნდა დასთმოს პირველობა წარმატებით დაწყებულ წინასამაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

დ. ამირანიძე

ლენინელ მემანქანეთა მიღწევები

თბილისის საორთქლმავლო დეპოში შეჯიბრებაში ჩამბმულ ლენინელ მემანქანეთა მუშაობის შედეგები საწვავისა და სახსრების ეკონომიის დარგში და ორთქლმავალთა გარბენის ნორმების შესრულებაში.

შეჯამებული ცნობებიდან გამოირკვა რომ ლენინელმა მემანქანეებმა ამხ. გ. წიკლაურიძემ და მასთან მომუშავე ამხ. ე. ტაბატაძემ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ქვეყანას მისცეს 13.867 კილოგრამი საწვავი მასალის ეკონომია. მარტო ერთი თვის განმავლობაში ლენინური მეთოდებით ორთქლმავლის მოვლით მათ დაზოგეს 633 მანეთი, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 50.000 კილომეტრისა მათს ორთქლმავალ 1 აპრილისათვის გარეცხვით, რემონტის მოუხდენლად უკვე ჰქონდა გარბენილი 84.290 კილომეტრი.

ლენინელმა მემანქანემ ამხ. ნ. გვენეტაძემ და მასთან ერთად მომუშავე ამხ. ვ. ნონიკაშვილმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მოგვცეს 15.308 კილოგრამი საწვავი მასალის ეკონომია. მათვე პირველ კვარტალში მოგვცეს ფულადი ხარჯების ეკონომია 864 მანეთის რაოდენობით.

მემანქანე ამხ. შ. კოხრეიძემ და მასთან ერთად მომუშავე ამხ. დ. დუნდუამ 25 მარტამდე მოგვცეს საწვავი მასალის ეკონომია 11.802 კილოგრამის და ფულადი ხარჯების ეკონომია 1.641 მან. რაოდენობით, ხოლო ორთქლმავლის გარბენის ნორმას უკვე გადაჭარბეს 21.300 კილომეტრით. კარგი შედეგები მოგვცეს მემანქანეებმა ამხ. ლ. ბერიძემ და ბ. ბეროზაშვილმა.

მაგრამ არიან ისეთი მემანქანეებიც, რომლებმაც ვერ მოგვცეს კარგი მაჩვენებლები. მემანქანეებმა ამხ. სერგეევმა, ვიტუხინმა და სიხარულიძემ, რომლებიც ე. წ. სამეურნეო ორთქლმავალზე მუშაობენ, მარტში გადახარჯეს 2.652 კილოგრამი საწვავი. მემანქანეებმა ამხ. ა. კოკანიძემ და გ. ჯავახიშვილმა მარტში 2.712 კილოგრამი საწვავი გადახარჯეს.

ლენინური მეთოდებით ორთქლმავლის მოვლა-პატრონობა და ორთქლმავლის მუშაობის რეჟიმის დაცვა საწვავის ეკონომიის და ორთქლმავლის ტრემონტად ხანგრძლივი მუშაობის აუცილებელი პირობებია. ეს მტკიცედ უნდა ახსოვდეს ყველა მემანქანეს.

გეგმის გადამეტებით ასეული ჯონა ლითონი

ზესტაფონი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა ახალ წარმატებებს აღწევს. ფერომარგანეცის საამქრომ მარტის დავალება შვიდი დღით ადრე შეასრულა, 100.000 კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია დაზოგა და გეგმის გადამეტებით ათეულობით ტონა ლითონი მოგვცა.

ახალ გამარჯვებებს აღწევს მეოთხე საამქრო. ამ საამქრომ მარტში გეგმის გადამეტებით მოგვცა დიდძალი მაღალპროცენტიანი ლითონი.

მარტში დაწინაურდნენ სადნობი საამქროს მეორე, მესამე და მეხუთე ღუმელები. მათ გეგმის გადამეტებით ასეული ტონა ლითონი გამოადნეს. წარმატებით მუშაობენ გველესიანის, ხუციშვილის, სოხაძის, უნგიაძის, აბზიანიძის და თავზარიშვილის ცვლები. მეტალურგები ჭანტურიძე, კოსოვი, შემტუნი, კვინიკაძე, სვანიძე დავალებებს 130 პროცენტით ასრულებენ. კარგად მუშაობენ ქარხნის მექანიკური და ელექტრო საამქროები.

პ. ბიოკაძე

ლენინის რკინიგზის კომკავშირელთა მიბაძვით

თბილისისა და სამტრედიის რკინიგზის კვანძების ახალგაზრდა რკინიგზელებმა, ლენინის რკინიგზის კომკავშირელთა მაგალითის მიხედვით გააჩაღეს ბრძოლა სადგურებზე სისუფთავის დაცვისა და მგზავრთა კულტურულად მომსახურებისათვის. ახალგაზრდობამ საკუთარი ძალ-ღონით შეაკეთა სამგზავრო დარბაზებში კარ-ფანჯარა, გაასუფთავა იატაკი და მინები, მოაგვარა მგზავრთათვის საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობათა გადაცემა რადიოთი.

კომკავშირელებმა გადასწყვიტეს ჩაატარონ 1 აპრილიდან სისუფთავის დაცვის კომკავშირულ-ახალგაზრდული ერთთვიური. მათ ვალდებულება იკისრეს დაიცვან სისუფთავე სადგურის ბაქნებზე, ჩამოაყალიბონ კომკავშირული ბრიგადები სადგურის აგენტთა დასახმარებლად მატარებელთა გამგზავრებისა და ჩამოსვლის დროს.

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველომ და პოლიტგანყოფილებამ მოიწონეს ეს მნიშვნელოვანი ინიციატივა და მიმართეს გზის ახალგაზრდობას მოწოდებით—ჩაატარონ 1 აპრილიდან 1 მაისამდე სამგზავრო სადგურებსა და მათს მოედნებზე სისუფთავის, წესრიგისა და კულტურის დაცვის კომკავშირულ-ახალგაზრდული ერთთვიური. (საქდესი).

უზრუნველვყოთ მინდვრის სამუშაოთა მაღალი აგროტექნიკური დონე

ვთესოთ სწრაფად და მაღალხარისხოვნად

გორი („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობები ლაგოდეხელთა მოწოდების სპასუხად უდიდესი ენტუზიაზმით ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში უხვი მოსავლის მიღებისათვის. კოლმეურნეობებმა მასობრივად დაიწყეს თესვა. ფრონტულად მუშაობენ საგაზაფხულო ხვნა-თესვაზე ქვემო ახალსოფლის კოლმეურნეობა „წითელი მემინდვრის“ წევრები. ხვნაზე სისტემატურად მუშაობს 7 გუთნეული. 30 მარტისათვის კოლმეურნეობას მოხნული ჰქონდა 56 ჰექტარი მიწა. გუთნისდედა ალექსი ნასყიდაშვილი ხვნის ყოველდღიურ ნორმას გადაჭარბებით ასრულებს, ნაცვლად 0,4 ჰექტარისა ხნავს 0,6 ჰექტარს. კოლმეურნეობამ გაზაფხულის ქერი უკვე დასთესა 26 ჰექტარზე. მაღალხარისხოვნად დამუშავებულია 20 ჰექტარი საჭარხლე და 16,5 ჰექტარი სბოსტნე ნაკვეთები. ხვნა-თესვის საქმეში მოწინავეა პირველი ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი კოლმეურნე ამხ. მიშა ალავერდაშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადის 38-40 კოლმეურნე ყოველდღიურად მეორეულად მუშაობს მინდვრად. ბრიგადამ უკვე დასთესა 8 ჰექტარი მარცვლეული. მოწინავეა მეორე ბრიგადა (ბრიგადირი ვანო მარანელი). ამ ბრიგადამ საუკეთესოდ მოაწყო შრომის ორგანიზაცია და მუშაობის დღიურ ნორმებს ყოველთვის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს.

სოციშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ენერგიულად იბრძვიან სოფ. ქვემო სობისის კოლმეურნეობის წევრები. ეკონომდებელთა მოწოდების საპასუხოდ კოლმეურნეობაში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ კოლმეურნეებმა კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობის ტემპები. 30 მარტისათვის ქერი 17 ჰექტარზე იყო დათესილი. ყოველმხრივ გამზადებულია საჭარხლე და სბოსტნე ნაკვეთები. ნაკვეთებში შეტანილია ნაკელი. საგაზაფხულო ხვნა-თესვაზე სტახანოვურად მუშაობს ის ბრიგადა, რომელსაც სამამულო ომის მონაწილე რეზო აწკარუნაშვილი ხელმძღვანელობს.

სოფ. ძველრის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მარცვლეული კულტურების თესვა სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს. ამ კოლმეურნეობაში ყველაზე მოწინავეა მეხუთე ბრიგადა. ამ ბრიგადას უნარიანად ხელმძღვანელობს სამამულო ომის მონაწილე რეზო კეჩხუაშვილი. ბრიგადას ქერი დათესილი აქვს 16 ჰექტარზე, საჭარხლე ნაკვეთში გატანილია 20 ტონა ნაკელი, სბოსტნეში კი 45 ტონა. ბრიგადაში მუშა-ხელი სწორად არის განაწილებული. ნაწილი მუშაობს თესვაზე, ნაწილი ხვნაზე, ზოგი კი ხილის ბაღების დამარვაზე. ბრიგადამ 3 დღეში ორი ჰექტარი ხილის ბაღი დაბარა და დაამუშავა. ბრიგადის წევრები—ნარგიზა მელქუაშვილი, ნინო ჯოლბორდი, მარუსია მელქუაშვილი, სერგო ჯოლბორდი ყოველდღიურ ნორმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ.

წარმატებით მუშაობენ ახალსოფლის მტსი. მე-7 სატრაქტორო ბრიგადას უკვე მოხნული აქვს 45 ჰექტარი. ამ ხნის განმავლობაში ამ ბრიგადამ 210 კილოგრამი საწვავი დაზოგა. დიდი მონდომებით მუშაობს მეოთხე სატრაქტორო ბრიგადა (ბრიგადირი ნ. საღირაშვილი). ბრიგადამ უკვე მოხნა 29 ჰექტარი მიწა და დაზოგა 132 კილოგრამი საწვავი.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში ვხვდებით უყურადღებობის ფაქტებს. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საგაზაფხულო ხვნა-თესვა სოფ. ზეღოლეთის კოლმეურნეობაში. აქ 224 ჰექტარიდან დათესილია 15 ჰექტარი, ხოლო მოხნულია 16 ჰექტარი. ხვნაზე მუშაობს მხოლოდ 4 გუთნეული, კოლმეურნეობას კი საშუალება აქვს ხვნაზე დამატებით აბუშაოს ორი გუთნეული, მაგრამ საჭირო გუთნები დროულად არ მოიმარაგეს, ამავე კოლმეურნეობაში შეუწყარებლად გაეშიაურეს მინდვრად ნაკელის გატანა. ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე არ არის გამოყენებული საგაზაფხულო სამუშაოებში. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. გიგაური ამბობს: „რა გვიჭირსა, გაზაფხული ახლა დადგაო“.

საგაზაფხულო თესვას არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ სოფ. შეთრულის, შინდოისის კოლმეურნეობებში. საგაზაფხულო ხვნა-თესვაში ჩამორჩენა სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ. გორის რაიმიწგაზმა და მტსებმა უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება თესვაში ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისადმი.

შ. ჩუბინიძე

მახარაძელი ფრაქტორისტები ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). მახარაძის მტს-ი, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ზუგდიდის მტს-თან, წარმატებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. მტს-მა დაწესებულ ვადაზე 20 დღით ადრე დაამთავრა ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტი. გაჩაღებულია საგაზაფხულო ხვნა. მოხნულია ათას ჰექტარზე მეტი.

სატრაქტორო ბრიგადებსა და ტრაქტორისტებს შორის ფართოდ გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ პირველი ბრიგადა (ბრიგადირი სერგო ჩხაიძე) და მეორე ბრიგადა (ბრიგადირი შოთა ორაგველიძე). ტრაქტორისტმა სერგო მახარაძემ ხვნის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, ტრაქტორისტმა ალექსანდრე გაგუამ მოხნა 30 ჰექტარზე მეტი, გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და 280 კილოგრამი საწვავი მასალა დაზოგა.

მახარაძის მტს-ი წელს გეგმის გადამეტებით მოხნავს 300 ჰექტარ ფართობს.

ლ. ლოლაძე

იბრძვიან უხვი მოსავლის მისაღებად

ცხაკაია („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვას მაღალი სამნედრო მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. ქობულეთელთა მიმართვის ფართოდ განხილვის შედეგად რაიონში არ დარჩენილა არც ერთი კოლმეურნეობა, რომელიც უხვი სამხედრო მოსავლის მისაღებად გაჩაღებულ სოცშეჯიბრებაში არ იყოს ჩაბმული.

ცხაკაიას რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკები, ჩაებნენ რა სოცშეჯიბრებაში ლანჩხუთის რაიონთან, პრაქტიკულად ანხორციელებენ ნაკისრ ვალდებულებებს. კოლმეურნეობებმა ვადაზე დაამთავრეს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი, სათესი ფართობების გაწმენდა და შემოკავება, საკმაო რაოდენობით მოიმარაგეს ვარგისი სათესლე მასალა. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს საგაზაფხულო პირველი ხვნა.

ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის გაასაკუთრებული მონდომებით იბრძვის სოფ. გეჯეთის კოლმეურნეობა „ოქტომბერი“. აქ საკმარისი რაოდენობით მოამზადეს თესლი და პირველი ხვნა უკვე ჩატარებულია 282 ჰექტარზე. კოლმეურნეები: გრიგოლ ჩემია, ა. კუპრეიშვილი, გ. ჯღამაძე, ნ. კვაშილავა, ვ. ბერაია დღიურ ნორმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ.

სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს ასეთივე წარმატებით ასრულებენ სოფ. ნოქალაქევის მოლოტოვის სახელობის, სოფ. შუფეის კიროვის სახელობის სოფ. ხორშის კუიბიშევის სახელობის, სოფ. მენჯის ვოროშილოვის სახელობის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები.

ს. კუჭავა

დაიწყო შაქრის ჭარხლის თესვა

ქასპი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ქასპის რაიონში დაიწყო შაქრის ჭარხლის თესვა. 30 მარტისათვის დათესილა 18 ჰექტარი. თესვას ორგანიზებულად შეუდგნენ ქასპის კოლმეურნეობა „ძმობა“ და მეტეხის კოლმეურნეობა „გლეხის იმედი“. ქასპის კოლმეურნეობამ გეგმით 34 ჰექტარი შაქრის ჭარხალი უნდა დასთესოს, ამჟამად უკვე დათესილი აქვს 13 ჰექტარი.

კოლმეურნეობა „ძმობაში“ ჭარხლის თესვაზე საუკეთესოდ მუშაობს მეოთხე ბრიგადა, რომელსაც ს. მერებაშვილი ხელმძღვანელობს.

„ვალია სოკოლოვა“ მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში. სცენიდან: მ. ...ბა (ვალია სოკოლოვა), ვ. არეშიძე (ალიოშკა), ა. ტუსიშვილი (სერიოჟა), ვ. ძაგნიძე (ნიკიტა), დ. ცხაკაია (ბავლუშა), გ. დარისპანაშვილი (ოტო კრაფტ) — როლებში.

„ვალია სოკოლოვა“

მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში

მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა მთელი რიგი პიესები დასდგა სამამულო ომის თემაზე. ამასწინათ თეატრმა გვიჩვენა კ. გოგიაშვილის და ვ. მახვილაძის „ვალია სოკოლოვა“. ავტორები მიზნად ისახავენ გვიამბონ იმ გმირული ბრძოლის შესახებ, რომელსაც დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი საბჭოთა პატრიოტები ეწეოდნენ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ძირითადად პიესა და სპექტაკლი ამ მიზანს აღწევს. მაყურებელი ხედავს, რომ ფაშისტი ოკუპანტების ფეხქვეშ მიწა იწვის, ვერც ერთი გერმანელი დამპყრობი ცოცხალი ვერ დაალწევს თავს საბჭოთა ხალხის შურისძიებას, არა მარტო მოზრდილნი, ბავშვებიც კი თავს სწირავენ სოციალისტური სამშობლოს დაცვას. ამ მხრივ პიესა სასარგებლოა და თეატრი კარგად მოიქცა, რომ ნორჩ მაყურებელს უჩვენა „ვალია სოკოლოვა“.

მაგრამ პიესას, როგორც მხატვრულ ნაწარმოებს, აქვს ნაკლოვანებანიც. უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ მთელ რიგ მოქმედ პირთა სქემატურობა, ხორცშეუსხმელობა. ასე არიან დახატული როგორც მტრები, ისე პარტიზანები, გარდა რაზმის უფროსისა. შედარებით უკეთ მოხატულია ეპიზოდური როლები (ანა—მსახიობი ნ. სირბილაძე, ოვინ პეტროვიჩი—მსახიობი ე. ოვანოვი და მაქსიმინი—მსახიობი ნ. გვარაძე). ყველაზე ძლიერია ორი მთავარი გმირის—ვალია სოკოლოვას და რაზმის უფროს ალიოშკას სახეები. ვალია შთაგონებულია ზოია კოსმოდემიანსკაიას მიერ. რასაკვირველია, ვალიას სახე არ არის ისეთი ძლიერი, როგორც ზოია კოსმოდემიანსკაიისი, მაგრამ ავტორებმა და ახალგაზრდა მსახიობმა დ. ძნელაძემ შესძლეს პარტიზანი გოგონას საყვარელი, დასამახსოვრებელი სახის მოცემა. ივგენ ითქმის ალიოშკაზე, რომელსაც დიდი სიყვარულით თამაშობს ვ. არეშიძე. კარგად არის გაკეთებული სერიოჟას როლი, რომლის შემსრულებელი ტუსიშვილი მკაფიოდ გამოკვეთილ სახეს ჰქმნის.

პიესაში არის ზოგიერთი ნაკლებ დამუშავებული მომენტები. მაგალითად, ვალიას შეყვარებულ პარტიზანების მიერ მიტოვებულ საფარში, გერმანელი ოფიცრის მოკვლა და შტაბიდან გაქცევა, ალიოშას მიერ თავისი თავის ოლქის უფროსად მოჩვენება და სხვ.

პიესა დასდგა თ. წერეთელმა, მხატვრობა ეკუთვნის ნ. ყაზბეგს, მუსიკა ა. მაჭავარიანს, მთლიანად პიესა სწორად არის გახსნილი რეჟისორის მიერ და მხატვრულადაც კარგად არის გაფორმებული, მაგრამ ზოგიერთი ხარვეზი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ. რა ტომოაც რადიოთი გადაცემა ხდება გერმანელ ენაზე. მაყურებლისათვის გადაცემის შინაარსი გაუგებარია. ამიტომ გაუგებარი ხდება შემდეგ სურათში პარაშუტით იარაღის ჩამოშვების ამბავი. ორთქლმავლის აფეთქების სცენაც სწორად არ არის გადაჭრილი. ლიანდაგი აპყარეს წინა პლანზე, ორთქლმავალი შორს, უკანა პლანზე აფეთქდა.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა ნორჩი მაყურებელი გულთბილად იღებს სპექტაკლს, ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა მაყურებელი თეატრში ეძებს სპექტაკლებს სამამულო ომის თემაზე, ჩვენი ხალხის გმირულ ბრძოლაზე.

გრ. ნუცუბიძე

მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში

თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა მიიღო დასადგმელად ახალგაზრდა დრამატურგ ამხ. ბ. სერიანიანის პიესა „შეხვედრა“, თარგმანი სომხურიდან ამხ. არტ. დავითიანისა. პიესა დაწერილია სამამულო ომის თემაზე, მასში ასახულია პიონერთა მუშაობა ზურგში.

პიესას სდგამს რეჟისორი არჩ. ჩხარტიშვილი, მხატვრულად აფორმებს მხატვარი ა. ყაზბეგი. მუსიკას სწერს კომპოზიტორი ა. მაჭავარიანი.

პრემიერა შესდგება აპრილის ბოლო რიცხვებში.

ქალთა შეჯიბრება ფანვარჯიშში

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა ჩაატარა თბილისის სპორტსაზოგადოებებისა და უმაღლესი სასწავლებლების ქალმოვარჯიშეთა შეჯიბრება ინდივიდუალურ-გუნდობრივი პირველობისათვის ტანვარჯიშში.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 7 გუნდმა. გუნდური პირველობა მოიპოვა ლ. ბერიას სახელობის ტექნიკუმის გუნდმა. მათ დააგროვეს 532,70 ქულა. 517,15 ქულით მეორე ადგილი დაიკავა სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა, ხოლო 41.745 ქულით მესამე ადგილზე გამოვიდა სპარტაკი.

პირველ თანრიგოსანთა შორის გაიმარჯვა სპარტაკელმა მზია ჯუღელმა, მეორე თანრიგოსანთა შორის—ფიზკულტურის ტექნიკუმის სტუდენტმა ე. კობიაშვილმა, ხოლო მესამე და მეოთხე თანრიგოსანთა შორის—უნივერსიტეტის სტუდენტებმა გ. კულულაშვილმა და რ. შომახიამ. შეჯიბრებამ დიდი სპორტული ინტერესით ჩაიარა როგორც დამსწრე მაყურებელთათვის, ისე მონაწილე გუნდთათვის. შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო ამხ. ვ. პროკოფიევი.

კინოებში

რუსთაველის სახ.—„69-ე პარალელი“, **ოქტომბერი** და **კომინტერნი**—„შენით მოხიბლული“, **დამკვრელი**—„პარტიული ბილეთი“, **კომკავშირელი** — „ვოლგა-ვოლგა“, **სპარტაკი**—„მხედრები“, **ლუსემბურგის სახ.**—„ჩვენ ეროწმტადტიდან ვართ“, **26 კომ. სახ.** — „ამანგელდი“.

„ციხის საიდუმლო“ სიღნაღის თეატრში

ამ დღეებში სიღნაღის თეატრმა მაყურებლებს უჩვენა მორიგი პრემიერა ა. სუმბათაშვილის „ციხის საიდუმლო“. პიესა აგებულია უცხოელ თავდამსხმელთა წინააღმდეგ ქიზიყელების გმირული ბრძოლის მასალებზე.

სპექტაკლი დასდგა თეატრის ხელმძღვანელმა ვ. იარალიმ, მხატვრულად გააფორმა ნ. გომელაურმა, მუსიკა ნ. დადიანისა. მთავარ როლებს ასრულებენ: მ. იარალი (როსტომ), ნ. ზალდასტანიშვილი (თამარ), ვ. ქართველიშვილი (ყარამან), გ. აღლაძე (ამირანდო), ნ. გომელაური (მალხაზ ანდრონიკაშვილი), ვ. ჭეზენიერაძე (ლევან დადიანი), ო. მახარაშვილი (თინათინ) და სხვ.

პრემიერა მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

ამჟამად თეატრი ამზადებს და უახლოეს დროში მაყურებლებს უჩვენებს სამამულო ომის თემაზე დაწერილ პიესებს: გ. მდივნის „ეღელტეხილს“ და დ. ძნელაძის „ბედაურს“.

„გიორგი ბრწყინვალე“

სტალინური პრემიის ლაურეატი, პოეტი გიორგი ლეონიძე ამთავრებს მუშაობას ისტორიულ-პატრიოტულ პიესაზე „გიორგი ბრწყინვალე“. პიესა, რომელსაც ავტორი ლექსად სწერს, ასახავს საქართველოს განთავისუფლებას ჭონღოლთა ბატონობისაგან. პიესა განკუთვნილია რუსთაველის თეატრისათვის.

თეატრებში

4 აპრილს: **სახოპერა**—დღისით — „სევილიელი დალაქი“ საღამოს — „ჰუგენოტები“. **რუსთაველის სახელობის**—დღისით და საღამოს—„ლალატი“. **მარჯანიშვილის სახელობის**—დღისით „მეფე ერეკლე“, საღამოს—„კოლმეურნის ქორწილება“. **გრიბოედოვის სახელობის**—დღისით და საღამოს—„რუსი ადამიანები“. **სომხური თეატრი**—დღისით და საღამოს—„ვულკანზე“. **ახუნდოვის სახელობის**—დღისით და საღამოს „აშუღ ყარიბი“. **მუსიკალური კომედიის**—დღისით—„არშინ-მალ-ალან“, საღამოს ერთმოქმედებიანი პიესების საღამო, **სანკულტურის**—„შეხვედრა“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**—დღისით—„მშობლიური მიწა“, საღამოს—„რომეო და ჯულიეტა“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

დეპეშები

გაერთიანებულ ერთა კონფერენციის მოწვევა ომისშემდგომ სასურსათო საკითხებზე

ნიუ-იორკი, 30 მარტი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ მან წინადადება მისცა ყველა გაერთიანებულ ერებს, აგრეთვე ბოლივიას, კოლუმბიას, ჩილის, ეკვადორს, პარაგვაის, პერუს, ურუგვაისა და ვენესუელას გამოჰგზავნონ წარმომადგენლები სურსათის საკითხების განსახილველად მოწვეულ კონფერენციაზე, რომელიც 27 აპრილს იხსნება ამერიკის შეერთებულ შტატებში. როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, ინგენტინა ამ კონფერენციაზე მოწვეული არ არის, რადგან იგი ურთიერთობას განაგრძობს ღერძის სახელმწიფოებთან.

სახელმწიფო დეპარტამენტმა მოწვევის შემდეგი ტექსტი დაჰგზავნა: „შეერთებული შტატების მთავრობა ფიქრობს, რომ გაერთიანებული ერებისათვის და იმ ერებისათვის, რომელნიც მათთან დაკავშირებული არიან ომში, ამჟამად სასურველია ერთობლივად იქნას განხილული ძირითადი ეკონომიური პრობლემები, რომლებიც მათს და მთელი მსოფლიოს წინაშე წამოიჭრება სრული სამხედრო გამარჯვების უზრუნველყოფის შემდეგ. ამის შესაბამისად და ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯის სახით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აყენებს წინადადებას მოწვეულ იქნას 27 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების რომელიმე შესაფერის ადგილას კონფერენცია სურსათისა და სხვა უმნიშვნელოვანეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა საკითხების განსახილველად, და ამიტომ იწვევს (დასახელებულია ის მთავრობა, რომელსაც ეგზავნება მიწვევა) მთავრობას გამოჰგზავნოს ამ კონფერენციაზე სათანადო სპეციალისტთა მცირე რაოდენობა.

ამ კონფერენციამ უნდა უზრუნველყოს შესაძლებლობა აზრთა და ინფორმაციის ურთიერთგაზიარებისა მთელ რიგ საკითხებზე და პრინციპული თანხმობის მიღწევა იმის შესახებ, თუ რამდენად სასურველი და განსახორციელებელია ქვემო დასახელებული პრობლემების გადაწყვეტის საშუალებანი და ხერხები:

1) სხვადასხვა ქვეყნების გეგმები და პერსპექტივები ომისშემდგომი პერიოდისათვის სურსათის წარმოების, სურსათის იმპორტის და მისი ნაუჯარის ექსპორტის საჭიროებისა, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ თითოეულ ქვეყანაში თანდათან გადიდდება მოხმარების დონე ამ ქვეყნის საერთო ეკონომიური საქმიანობის გაფართოების შესაძლებლობის შესაბამისად; ეს მოსაზრებანი არაფრით არ არის დაკავშირებული დახმარების აღმოჩენის საკითხთან; 2) შესაძლებლობანი იმისა, რომ კოორდინირებულ და სტიმულირებულ იქნას საერთაშორისო ღონისძიებათა დახმარებით ცალკეული ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება კვების გაუმჯობესებისა და მოხმარების საერთო გადიდებისაკენ; 3) შესაძლებლობანი საერთაშორისო შეთანხმებათა დადებისა და იმისა, რომ შეიქმნას ორგანოები სურსათისა და სხვა უმნიშვნელოვანეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა რაც შეიძლება ეფექტიანი წარმოებისათვის ხელის შესაწყობად, აგრეთვე ასეთი პროდუქტების მთელი მსოფლიოსათვის სათანადო მომარაგების უზრუნველყოფისა ისე, რომ ჯეროვანად იქნას გათვალისწინებული იმ ფასების დაწესება, რომლებიც სამართლიანი იქნება როგორც მწარმოებელთა, ისე მომხმარებელთა თვალსაზრისით, 4) საგაჭრო, საფინანსო და სხვა შეთანხმებანი, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცეთ მთელი მსოფლიოს ქვეყნებს მიიღონ სურსათი და სხვა უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რაც მათ დასჭირდებათ, და შესაბამისი ბაზრებისათვის დახმარების გაწევა მათი საკუთარი პროდუქციის ნაჭარბის გასაღიდებლად“.

* * *

საკდესის მიერ მიღებული ცნობებით, სსრკ კავშირის მთავრობამ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წინადადება—გაჰგზავნოს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები გაერთიანებულ ერთა კონფერენციაზე, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები იწვევენ ომისშემდგომ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების საკითხებზე.

ინგლისმა თანხმობა განაცხადა მონაწილეობა მიიღოს ომისშემდგომი სასურსათო საკითხების განსახილველად მოწვეულ კონფერენციაზე

ლონდონი, 31 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისის მთავრობამ მიიღო ამერიკის მთავრობის მიწვევა—გაჰგზავნოს თავისი წარმომადგენლები კონფერენციაზე, რომელსაც შეერთებული შტატები 27 აპრილისათვის იწვევენ ომისშემდგომი სასურსათო საკითხების განსახილველად.

ომის საწინააღმდეგო განწყობილების ზრდა იტალიაში

სტამბული, 2 აპრილი (საკდესი). იტალიური პრესა იძულებულია აღიაროს, რომ იტალიაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ომის საწინააღმდეგო განწყობილება, რაც ფაშისტურ პარტიასაც კი იკიდებს ფეხს. მაგალითად, გაზეთმა „კორიერე დელა სერამ“ ამას წინათ მთელი რიგი ცნობები გამოაქვეყნა იმის შესახებ, რომ ფაშისტთა პარტიიდან მრავალი პირი გარიცხეს „დამარცხების მომხრეობის, გ